



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება № 6

ბათუმი

„19“ მარტი 2025 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საქმისწარმოების ინსტრუქციის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2025 წლის 13 მაისის №49 გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქცია, თანახმად დანართისა (ცვლილება: ბრძანება №7; 16.02.2026).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 02 მარტის N09 ბრძანება.
3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციებს და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 19 მაისიდან.

დავით გაბაიძე

დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
2025 წლის 19 მაისის №6 ბრძანებით
(ცვლილება: ბრძანება №7; 16.02.2026).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების
ინსტრუქცია
თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულების, სხვა კანონქვემდებარე აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების შესაბამისად და ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების წესებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოებასა და დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციით, განისაზღვრება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2

1. უმაღლესი საბჭოში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობა მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე არის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტბრუნვა, რომელიც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციით (შემდგომში – ინსტრუქცია).

2. ინსტრუქციის დაცვა სავალდებულოა უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის, თანამდებობის პირებისთვის, უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისთვის, საქმისწარმოებაზე განპიროვნებული ყველა პირისთვის.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი (შემდგომში – საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი) უზრუნველყოფს უმაღლეს საბჭოში ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვას.

მუხლი 3

1. უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოება ხორციელდება უმაღლესი საბჭოს საქმეთა ნომენკლატურით გათვალისწინებული სარეგისტრაციო წიგნებითა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით, წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. უმაღლესი საბჭოს ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდება საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის eDocument-ის მეშვეობით (შემდგომში - სისტემა).
3. სისტემა არის კომპიუტერული პროგრამა, რომლის მიზანია დოკუმენტბრუნვის პროცესის გამარტივება, დაჩქარება, მისი ხარისხის გაუმჯობესება ძირითადი ამოცანებისა და აქტივობების ავტომატიზაციის გზით.
4. სისტემაში შექმნილ დოკუმენტს და ამ სისტემაში განხორციელებულ ყველა ქმედებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს და მასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებას.
5. ელექტრონული დოკუმენტი იურიდიულ ძალას იძენს ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერისა და რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო ძალაში შედის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. სისტემაში შექმნილი დოკუმენტის ფერადი მატერიალური ამონაბეჭდი მის ელექტრონულ დედანთან იდენტიფიკაციის შემდეგ გამოიყენება ასლის უფლებით. საჭიროების შემთხვევაში ამონაბეჭდი მოწმდება უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ბეჭდით.
7. უმაღლესი საბჭოს ბლანკებზე ხელმოწერის უფლების მქონე პირთა ვინაობა და მათი უფლებამოსილების სფერო განისაზღვრება კანონმდებლობითა და წინამდებარე ინსტრუქციით.

მუხლი 4

1. სისტემაში არ მზადდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანება). ასევე, უმაღლესი საბჭოს აპარატის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შრომითი ხელშეკრულებები, საფინანსო/საბუღალტრო დოკუმენტაცია.
2. საერთო სასამართლოებიდან შემოსული დოკუმენტაცია (უწყება, გზავნილი, ბრძანება, დადგენილება, განჩინება, გადაწყვეტილება, განაჩენი) და სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროდან სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტაცია, ელექტრონულად დამუშავების შემდეგ მატერიალური სახით გადაეცემა შემსრულებელს (შემსრულებლებს).
3. დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამართლებრივი აქტებისა და დოკუმენტაციის მომზადება/შესრულებასთან (განცხადება დასაქმების/განთავისუფლების/შრომითი ურთიერთობის შეჩერების, მივლინების და სხვ. თაობაზე, წარდგინება, შუამდგომლობა, შესყიდვის განხორციელების, შესყიდვების გეგმის კორექტირების დასაბუთება, ანგარიშგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ა.შ.) მზადდება სისტემის მეშვეობით.
4. ნორმატიული აქტების მომზადება/რეგისტრაციის საკითხი რეგულირდება კანონმდებლობითა და ინსტრუქციის IV თავით.
5. საიდუმლო საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალური ფორმით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II

შემოსული და შიდა დოკუმენტების გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი

მუხლი 5

1. უმაღლეს საბჭოში შემოსული დოკუმენტის მიღებას, პირველად დამუშავებასა და რეგისტრაციას, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, ახორციელებს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი საქმისწარმოების განყოფილების მეშვეობით.
2. უმაღლეს საბჭოში ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაციანი ჯგუფის, ფრაქციის შეკითხვას რეგისტრაციაში ატარებს და ადრესატისთვის გადასაცემად აზადებს

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი, საორგანიზაციო განყოფილების მეშვეობით.

3. პეტიციას, საკანონმდებლო წინადადებას რეგისტრაციაში ატარებს და ადრესატს გადასცემს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი, საორგანიზაციო განყოფილების მეშვეობით.

4. უმაღლეს საბჭოში საიდუმლო საქმისწარმოებას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი, საქმისწარმოების განყოფილების მეშვეობით.

5. დაუშვებელია უმაღლეს საბჭოში დოკუმენტის მიღება და უმაღლესი საბჭოდან დოკუმენტის გაგზავნა საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის გვერდის ავლით, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 6

1. უმაღლეს საბჭოში შემოსული (მათ შორის: ფაქსით, ელექტრონული ფოსტით) დოკუმენტი მიღების დღესვე ტარდება რეგისტრაციაში. სამუშაო საათების შემდეგ მიღებული დოკუმენტაცია რეგისტრაციაში ტარდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2. საჭიროების შემთხვევაში უმაღლეს საბჭოში როგორც შემოსული, ასევე შიდა დოკუმენტბრუნვა შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში უქმე და დასვენების დღეებშიც.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, უმაღლესი საბჭოს წევრების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხვა უფლებამოსილი პირების გასვლითი ღონისძიებებისა და შეხვედრების დროს ხელზე მიღებული დოკუმენტები რეგისტრაციისთვის გადაეცემა საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

4. რეგისტრაციას არ ექვემდებარება:

ა) სარეკლამო მასალები, პლაკატები, მისალოცი და მოსაწვევი ბარათები;

ბ) ნაბეჭდი გამოცემები (წიგნები, ჟურნალები, ბიულეტენები, ბუკლეტები, გაზეთები და სხვა);

გ) განცხადებები წარწერით „პირადად“.

მუხლი 7

1. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის შექმნას, მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისთვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

2. დოკუმენტების დამუშავება ხდება სისტემის მეშვეობით, რომელიც მოიცავს დოკუმენტების რეგისტრაციას და მის საფუძველზე შექმნილ საინფორმაციო-სამიეზო მასივებს (ველებს), მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტების შენახვას, ელექტრონულ დოკუმენტებზე მუშაობის კომპიუტერულ ორგანიზებას და შესრულების ოპერატიულ კონტროლს.

3. ელექტრონული დოკუმენტი იქმნება მატერიალური დოკუმენტისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტებით.

4. დოკუმენტის მომზადება ხდება მიღებული დავალების საფუძველზე, ან შეიძლება იყოს თანამშრომლის მიერ ინიცირებული.

5. სარეზოლუციოდ ან ვიზირებისათვის მიღებული დოკუმენტი მიღების დღესვე ან მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გადაეცემა შემდეგ ადრესატს.

6. ელექტრონული დოკუმენტის ჩამოწერაზე პასუხისმგებელია შემსრულებელი.

7. სისტემაში დოკუმენტაციის წარმოების საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ინსტრუქციით, განისაზღვრება სისტემის პროგრამული მონაცემებით.

მუხლი 8

1. თუ დოკუმენტის მიღებისა და პირველადი დამუშავების დროს აღმოჩნდება, რომ მისი კონვენტის მთლიანობა დარღვეულია, ან კონვენტის გახსნისას დადგინდება დოკუმენტის ეგზემპლარებისა და დანართის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაოდენობის შეუსაბამობა მითითებულ რაოდენობასთან, იგი დაუყოვნებლივ უბრუნდება გამომგზავნს. ხარვეზის

აღმოფხვრის შემდეგ დოკუმენტი დადგენილი წესით ტარდება რეგისტრაციაში. შემოწმებისას აღმოჩენილი დარღვევის თაობაზე საქმისწარმოების განყოფილების თანამშრომლის მიერ დგება აქტი ორ ეგზემპლარად. ერთი მათგანი დოკუმენტთან ერთად გადაეცემა გამოგზავნის, ხოლო მეორე - დაერთვის დოკუმენტის ასლს და რჩება საქმისწარმოების განყოფილებაში.

2. დოკუმენტის კონვერტი ნადგურდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) მხოლოდ კონვერტით შეიძლება გამოგზავნის მისამართის, დოკუმენტის გამოგზავნისა და მიღების თარიღების დადგენა;

ბ) დოკუმენტი გამოგზავნილია სხვა სახელმწიფოდან;

გ) კონვერტზე არსებულ საფოსტო შტამპზე მითითებულ დოკუმენტის გამოგზავნისა და მიღების თარიღებს შორის სხვაობა 10 დღეს აღემატება.

3. კონვერტი წარწერით „პირადად“ არ იხსნება და მის შესახებ ინფორმაცია რეგისტრაციაში ტარდება კონვერტზე მითითებული მონაცემების მიხედვით. ასეთი კონვერტი ადრესატს გაუხსნელად გადაეცემა.

მუხლი 9

1. შემოსული დოკუმენტების დამუშავების პროცესი მოიცავს დოკუმენტების მატერიალური ფორმიდან ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას (სკანირებას). აღნიშნული შემდეგ ხდება მისი კომპიუტერული დამუშავება, რომელიც გულისხმობს სისტემით გათვალისწინებული ველების შევსებას.

2. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტი აიტვირთება და რეგისტრირდება სისტემაში. შემოსულ განცხადებას, განყოფილების თანამშრომლის მიერ პირველი ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში დაესმება ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ქვეპუნქტით დადგენილი შტამპი, რომელზეც აღინიშნება სისტემის მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, შემოსვლის თარიღი და ფურცლების რაოდენობა და ჩაიდება საქმეში. შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტი, სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ, გადაეცემა შემსრულებელს, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით.

3. დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია ასევე შეიტანება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმეთა ნომენკლატურით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წიგნებში.

4. განცხადების სკანირება ხდება სრულად. დოკუმენტის დანართების სკანირებაც ხდება სრულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანართები A4 ფორმატზე დიდია, ან როდესაც დანართი აკინძულია, დამოწმებულია ბეჭდით ან მისი გადაყვანა ელექტრონულ ფორმატში ტექნიკურად შეუძლებელია. ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტს ახლავს დიდი რაოდენობის მასალა (35 ფურცელი და მეტი), რომელთა დასკანერება რთულია მოცულობის გამო, გამონაკლისის სახით დოკუმენტი შემსრულებელს გადაეცემა მატერიალურ ფორმატში მიმღები სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

5. მატერიალური ფორმით არსებული დანართების ადრესატისთვის მიწოდების შემთხვევაში, შემოსული განცხადების რეგისტრაციისას მიეთითება აღნიშვნა იმის შესახებ, რომ დანართი ჩაბარდა მატერიალური სახით, ფურცლების რაოდენობა.

6. დოკუმენტი წარწერით „სასწრაფო“ დაუყოვნებლივ ტარდება რეგისტრაციაში და გადაეცემა ადრესატს.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახელზე (კონკრეტული ადრესატის მიუთითებლად) შემოსული კორესპონდენცია რეგისტრაციის შემდეგ გადაეცემა (ეგზავნება) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სახელზე შემოსული კორესპონდენცია – უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

8. უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილ პირებსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს, მატერიალური სახით გადასაცემ დოკუმენტებს ან/და მათ დანართებს გადასცემს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი, რაც დასტურდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელის მოწერით.

მუხლი 10

1. უმაღლესი საბჭოს შიდა დოკუმენტად ითვლება უმაღლეს საბჭოში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც არ იგზავნება უმაღლესი საბჭოს გარეთ (სამსახურებრივ საკითხებზე მომზადებული მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი, მიმართვა ინფორმაციის მოთხოვნა/მიწოდების შესახებ, დასაქმებულთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სხვ.). შიდა დოკუმენტი მზადდება ელექტრონულად, გარდა ამავე ინსტრუქციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. უმაღლეს საბჭოში მომზადებული შიდა და გასული დოკუმენტი მზადდება შრიფტით „Sylfaen“, არანაკლებ 11 ზომისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტი შედგება სქემების, ცხრილებისა და ნუსხებისაგან ან სხვ., რომლებშიც, მათი ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია 11 ან მეტი ზომის შრიფტის გამოყენება.

მუხლი 11

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, უმაღლესი საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, ფრაქციების თავმჯდომარეების, კომიტეტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისა და მისი მოადგილეების, უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა უფლებამოსილი პირების რეზოლუცია სრულდება დოკუმენტის პირველი ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში. შეიძლება გამოყენებული იქნეს სარეზოლუციო ფურცელი.
2. სისტემაში რეზოლუციების გამოყენება ხორციელდება სისტემის შესაბამისი მასივების (ველების) მეშვეობით, ამ მუხლით დადგენილი წესით და შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. რეზოლუციის ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს რეზოლუციით მიცემული დავალების შემსრულებლის ვინაობა და დავალების შინაარსი. დავალება შეიძლება იყოს საკონტროლო და არასაკონტროლო. საკონტროლო დავალების ტექსტი შეიცავს ვალდებულებას, რომ რეზოლუციის ავტორს მითითებულ ვადაში წარედგინოს დავალების შესრულების შედეგები. არასაკონტროლო დავალების ტექსტით არ მოითხოვება რეზოლუციის ავტორისთვის შესაბამისი შედეგების წარდგენა და დავალების შესასრულებლად განისაზღვრება ვადა, რომელიც ამ სახის დოკუმენტის განხილვისთვის დადგენილია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.
4. თუ რეზოლუციით დავალება რამდენიმე პირს მიეცა, რეზოლუციაში მითითებულ პირველ შემსრულებელს ეგზავნება დოკუმენტის დედანი, ხოლო დანარჩენს – ასლები. როდესაც ერთ საკითხზე დავალება რამდენიმე პირს აქვს მიცემული, მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელია ის, ვინც რეზოლუციაში პირველია მითითებული, ხოლო დანარჩენები ვალდებული არიან, შემსრულებელს მიაწოდონ ინფორმაცია (მოსაზრება) დავალების შესახებ.

მუხლი 12

1. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შემოტანილი განცხადება რეაგირებისთვის უნდა გადაიგზავნოს უფლებამოსილ ორგანოში, დგება თანმხლები წერილი, რომელიც განცხადებასთან ერთად იგზავნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. განმცხადებელს ეგზავნება წერილის ასლი ან შეტყობინება განცხადების გადაგზავნის შესახებ.
2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განმეორებით შემოტანილია განცხადება, რომელზეც პასუხის გაცემის ან რომლის უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნის შემდეგ არ შეცვლილა ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, განცხადებაზე კეთდება უფლებამოსილი პირის (ადრესატი ან შემსრულებელი) მიერ ხელმოწერილი აღნიშვნა განცხადების ჩამოწერის შესახებ (შესაბამისი საფუძვლის მითითებით), დაესმის თარიღი და განცხადება ბარდება საქმისწარმოების განყოფილებას.

3. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შემოტანილ განცხადებაზე რეაგირება არ მოითხოვს წერილობით პასუხს ან მასზე რეაგირება წერილობით არ ხდება, განცხადებაზე კეთდება უფლებამოსილი პირის (ადრესატი ან შემსრულებელი) მიერ ხელმოწერილი აღნიშვნა განცხადების ჩამოწერის შესახებ (შესაბამისი საფუძვლის მითითებით), დაესმის თარიღი და განცხადება ბარდება საქმისწარმოების განყოფილებას.

4. თუ დოკუმენტი ინფორმაციული ხასიათისაა და არ მოითხოვს რაიმე ქმედების განხორციელებას, მის ზედა მარცხენა კუთხეში სრულდება წარწერა „საქმეში“ ან „გავეცანი“ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თარიღის დასმით და განცხადება ბარდება საქმისწარმოების განყოფილებას.

5. განცხადებასთან მიმართებაში ამ მუხლით განსაზღვრულ ქმედებებს უფლებამოსილი პირი სისტემაში ახორციელებს ამ მუხლით დადგენილი წესებისა და შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 13

1. საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება შემოსულ დოკუმენტზე, მისი კონტროლზე აყვანის შემთხვევაში, რეაგირების ვადის ამოწურვამდე 3 დღით ადრე, უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოებაზე განპიროვნებულ შესაბამის პირს აწვდის ინფორმაციას რეაგირების საჭიროების შესახებ.

2. საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ამზადებს დოკუმენტრუნვის ანალიტიკურ და სტატისტიკურ ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს.

თავი III

სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი

მუხლი 14

1. უმაღლესი საბჭოდან გასაგზავნი დოკუმენტები მზადდება სისტემაში, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. შემსრულებელი სისტემაში ამზადებს დოკუმენტის პროექტს, მის დანართებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გაივლის დოკუმენტის შექმნისთვის სისტემით განსაზღვრულ ეტაპებს, მიუთითებს ვიზირებასა და ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირებს.

3. მატერიალური დოკუმენტის მომზადება/გაგზავნის საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოდან გასაგზავნი დოკუმენტი დგება ორ ეგზემპლარად. მათგან ერთი იბეჭდება შესაბამის ბლანკზე, ხოლო მეორე – A4 ფორმატის ფურცელზე, რომელზედაც ვიზირებას ახდენენ: შემსრულებელი, თანამდებობის პირ(ებ)ი, რომელთანაც შეთანხმდა დოკუმენტის პროექტი.

4. საბოლოოდ გაფორმებულ დოკუმენტს ხელს აწერს თანამდებობის პირი მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხების შესაბამისად. დაუშვებელია ხელმოწერის შეცვლა ირიბი ხაზის ჩამოსმით.

5. უმაღლეს საბჭოში მომზადებულ დოკუმენტს რეგისტრაციაში ატარებს და საფოსტო გზავნილის სახით ან სისტემის მეშვეობით აგზავნის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლი 15

1. უმაღლესი საბჭოდან გასაგზავნად საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებას ბარდება სრულყოფილად გაფორმებული დოკუმენტი, სათანადო რაოდენობის ეგზემპლარებითა და დანართით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტში სრულად უნდა იყოს აღნიშნული ადრესატის რეკვიზიტები. საპასუხო წერილის ტექსტის დასაწყისში მიეთითება შემოსული წერილის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

2. გაუფორმებელ ან არასწორად გაფორმებულ დოკუმენტს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი გასაგზავნად არ იღებს და შემსრულებელს უბრუნებს. დოკუმენტის გაფორმების

შესახებ საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილების მოტივირებული შენიშვნის, წინადადების გათვალისწინება სავალდებულოა.

3. უმაღლესი საბჭოდან გასაგზავნად დოკუმენტს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი ამუშავებს და აგზავნის 24 საათის განმავლობაში, ხოლო დოკუმენტს წარწერით „სასწრაფო“ – დაუყოვნებლივ. დოკუმენტი იგზავნება ფოსტისა და საფელდეგერო სამსახურის მეშვეობით. ნებადართულია ადრესატისთვის წერილობითი პასუხის ხელზე გადაცემა, რასაც იგი ადასტურებს შესაბამის რეესტრზე ხელის მოწერით და თარიღის დასმით.

მუხლი 16

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლისა და მისი უფლებამოსილების საკითხები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.
2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს. აპარატის უფროსის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით დადგენილი წესით. აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანებები.
3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულების/ბრძანების, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანების პროექტებს საკითხების სპეციფიკისა და ფუნქციურ მოვალეობათა გათვალისწინებით შეიმუშავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულები.
4. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის ვიზირებას ახდენენ: პირი, რომელმაც მოამზადა პროექტი, მისი ზემდგომი თანამდებობის პირი, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილე (უფლებამოსილების ფარგლებში), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანების, ასევე, უმაღლეს საბჭოსა და მესამე პირებს შორის გაფორმებულ შრომის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და სხვ. ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წერილების პროექტის ვიზირებას ახდენენ: პირი, რომელმაც მოამზადა პროექტი, მისი ზემდგომი თანამდებობის პირი, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილე (უფლებამოსილების ფარგლებში).
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულების/ბრძანების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანების რეგისტრაციას და აღრიცხვას, დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად, ახდენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანებების გაგზავნას, საჯაროდ გამოცხადებას, ფორმირებასა და ლიკვიდაციას (შენახვის ვადის გათვალისწინებით) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება, საკადრო საკითხებთან დაკავშირებულ ბრძანებებს - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა და უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას, აღრიცხვას, შენახვას, გასაცნობად გაცემასა და ფორმირებას ახორციელებს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა და უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებულ

საკითხებს აწესრიგებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

მუხლი 17

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში გამოიყენება მხოლოდ ინსტრუქციით გათვალისწინებული საერთო, წერილის და გერბიანი ბლანკები, გერბიანი და სხვა ბეჭდები, გერბიანი და სხვა შტამპები.
2. ბლანკები გამოიყენება შემდეგი საკანონმდებლო აქტებისა და დოკუმენტებისთვის:
 - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია (დანართი 1);
 - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი (დანართი 2);
 - გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი (დანართი 3);
 - დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი (დანართი 4);
 - ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება (დანართი 5);
 - ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია (დანართი 6);
 - ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვა (დანართი 7);
 - თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება (დანართი 8);
 - ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება (დანართი 9);
 - კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება (დანართი 10);
 - ლ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანება (დანართი 11);
 - მ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი (დანართი 12);
 - ნ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის ოქმი (დანართი 13);
 - ო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (დანართი 14);
 - პ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის გადაწყვეტილება (დანართი 15);
 - ჟ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ (დანართი 16);
 - რ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგი (დანართი 17);
 - ს) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის ოქმი (დანართი 18);
 - ტ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის ოქმიდან ამონაწერი (დანართი 19);
 - უ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ვიზირების ფურცელი (პასპორტი) (დანართი 20 და 20*);
 - ფ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დასწრების რეგისტრაციის ფურცელი (დანართი 21);
 - ქ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების უმაღლესი საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის წინ რეგისტრაციის ფურცელი (დანართი 22);

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის, ფრაქციის, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (დანართი 23)“.

3. უმაღლეს საბჭოში გამოიყენება წერილის ბლანკები შემდეგი წარწერებით:

- ა) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე“ - ქართულად (დანართი 24), ინგლისურად (დანართი 24ა);
- ბ) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე“ - ქართულად (დანართი 25) ინგლისურად (დანართი 25ა);
- გ) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი“ - ქართულად (დანართი 26), ინგლისურად (დანართი 26ა);
- დ) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“ - ქართულად (დანართი 27);
- ე) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი“ - ქართულად (დანართი 28), ინგლისურად (დანართი 28 ა);
- ვ) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტი (შესაბამისი კომიტეტის სახელწოდებით)“ - ქართულად (დანართები 29-34);
- ზ) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია“ (დანართი 35);
- თ) „საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის სამუშაო ჯგუფი“ (დანართი 36);
- ი) „საქართველო აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისია“ (დანართი 37)“.
- კ) „საქართველო აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭო ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (დანართი 37ა)“.

4. უმაღლეს საბჭოში გამოიყენება შემდეგი ბეჭდები:

- ა) ბეჭედი სრული სახით საქართველოს სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, წარწერით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო“ (2 ცალი; ერთ ბეჭედზე წარწერა შესრულებულია მხოლოდ ქართულ ენაზე, მეორე ბეჭედზე ორ ენაზე – ქართულად და ინგლისურად) (დანართი 38);
- ბ) ბეჭედი სრული სახით საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, წარწერით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“ ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 39);
- გ) ბეჭედი წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“, „პაკეტისათვის“ (დანართი 40);
- დ) ბეჭედი წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“, „N1“ (დანართი 41);
- ე) ბეჭედი წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“, „იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი“ (დანართი 42);
- ვ) ბეჭედი წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი“, „სამართლებრივი აქტის პროექტი“ (დანართი 43);
- ზ) ბეჭედი წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი“, „ამონაწერი“, „ასლი“ (დანართი 44);
- თ) ბეჭედი წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო“, „საიდუმლო პაკეტისათვის N01“ (დანართი 45).

5. უმაღლეს საბჭოში გამოიყენება შემდეგი შტამები:

- ა) შტამში წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“, „საქმისწარმოების განყოფილება“, „შემოსული N“ (დანართი 46);
- ბ) შტამში წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი“, „საქმისწარმოების განყოფილება“, „გასული N“ (დანართი 47);
- გ) შტამში წარწერებით „საიდუმლო“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, შემოსული N“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, გასული N“ (დანართი 48);
- დ) შტამში წარწერებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი, შემოსული N“ (დანართი 49);
- ე) „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული შტამი;

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ბეჭედი გამოიყენება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივ აქტებზე (საჭიროების შემთხვევაში) და მათ დანართებზე, უმაღლესი საბჭოს სახელით გაფორმებულ სხვადასხვა სახის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტებზე (მემორანდუმი, შეთანხმება და ა.შ.). ბეჭედს ინახავს და მისი გამოყენებისთვის პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო დოკუმენტებზე, ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებებზე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მიერ ხელმოწერილ ცნობაზე, შრომისუნარობის ფურცელზე, დაისმება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ბეჭედი. ამ ბეჭედს ინახავს და მისი გამოყენებისთვის პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

8. ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებებზე, შრომის წიგნაკში არსებული ჩანაწერის, საკადრო საკითხთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანების ასლის, ბრძანებიდან ამონაწერის დამოწმებისას გამოიყენება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში აღნიშნული ბეჭედი. ამ ბეჭედს ინახავს და მისი გამოყენებისთვის პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ინიცირებულ ნორმატიული აქტის პროექტზე, დაისმება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ბეჭედი. ამ ბეჭედს ინახავს და მისი გამოყენებისთვის პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი.

10. მიღებული საფოსტო გზავნილის რეესტრზე ხელმოწერის დადასტურებისთვის, ბრძანებიდან ამონაწერის, ბრძანების ასლის, ბრძანებაზე ხელმოწერის და უმაღლესი საბჭოდან გაგზავნილი დოკუმენტის/ასლის დამოწმებისთვის გამოიყენება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ბეჭედი. დოკუმენტზე, საჭიროების შემთხვევაში, ასევე დაისმება ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შტამი. უმაღლესი საბჭოს საფოსტო გზავნილის დასამოწმებლად (პაკეტის დაგზავნის შემთხვევაში) გამოიყენება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ბეჭედი. ამ ბეჭედსა და შტამს ინახავს და მისი გამოყენებისთვის პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი.

11. უმაღლესი საბჭოდან გაგზავნილი ნებისმიერი ელექტრონული დოკუმენტის, მათ შორის დანართების (საჭიროების შემთხვევაში) მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასამოწმებლად გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში აღნიშნული ელექტრონული შტამი. ამ შტამის გამოყენებისთვის პასუხისმგებელია უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება.

12. სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ელექტრონული დოკუმენტების: სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების, შესყიდვის შესახებ დასაბუთებული

